

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ეთნომუსიკოლოგიის მიმართულება

ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა

რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია

პროგრამა და თეზისები

27 მაისი, 2025

პ რ o გ რ ა მ ა

11:00 – ნატალია ზუმბაძე (კონფერენციის სამეცნიერო ხელმძღვანელი)

კონფერენციის გახსნა

11:15 – ეკატერინე ყაზარაშვილი

საეკლესიო გალობის მდგომარეობა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწე საერო და სასულიერო პირების საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით)

11:45 – გვანცა მაისურაძე, ანი თანდილაშვილი

საშობაო რიტუალები და ალილოს ტრადიცია საქართველოში

12:15 – მონაზონი ნინო (სამხარაძე)

წმიდა ნინოს საგალობლები ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში

12:45 – თევდორე გოგოლაძე

უენო სალამურის დამზადების ტრადიცია და საშემსრულებლო თავისებურებები

13:30-14:15 – შესვენება

14:15 – ანანო გვენეტაძე

ანსამბლი „სანავარდო“ და იმერული სიმღერების ზოგადი მიმოხილვა

14:45 – შატო კუბათაშვილი

საგაზაფხულო და სააღდგომო საწესო სიმღერები – „ჭონა“ და „მხიარული გაზაფხული“ ქართლურ მუსიკალურ ფოლკლორში

15:15 – მარიამ გრიგალაშვილი

„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა“ – საგალობლის ლიტურგიკული ფუნქცია და აღნაგობის თავისებურება

15:45 – ლიკა ლიპარტელიანი

გლოვის სვანური წესი

16:30 – ნატალია ზუმბაძე

კონფერენციის მუშაობის შეჯამება

თ ე ზ ი ს ე ბ ი

ეკატერინე ყაზარაშვილი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია,
მანანა ანდრიაძის სახელობის საეკლესიო მუსიკის ლაბორატორია, სპეციალისტი.

საეკლესიო გალობის მდგომარეობა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე
(აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწე საერო და სასულიერო პირების
საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით)

XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის პირველი სამი ათწლეული უმნიშვნელოვანესი და
გარდამტეხი ეტაპი იყო ქართული საეკლესიო გალობის გადარჩენისა და ფიქსირების საქმეში.
ამ რთულ პროცესს სათავეში ედგნენ ქართველი საერო და სასულიერო პირები, რომელთა

უშუალო მონაწილეობითა და ძალისხმევით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და მუსიკალურ კულტურას მემკვიდრეობად ერგო არამატერიალური კულტურის უდიდესი საგანძური – ძველი ქართული პროფესიული მუსიკა, საეკლესიო გალობა.

ჩვენ არაერთი წელია ვიკვლევთ იმ პირთა პირად არქივებს, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ამ პროცესისა და ისტორიის მონაწილენი. აღმოსავლეთ საქართველოში ასეთებად გვევლინებიან ძმები კარბელაშვილები და მათგან ყველაზე მასშტაბური მოღვაწეები – პოლიევგეტოს და ვასილ კარბელაშვილები. ბოლო პერიოდში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივებში ვიმუშავეთ ეპისკოპოსების – ლეონიდე და ალექსანდრე ოქროპირიძეების, კირიონ სამაგლიშვილის, ილია ჭავჭავაძისა და სხვა საერო და საზოგადო მოღვაწეთა პირად არქივებზე და საინტერესო მასალებს გავეცანით გალობის საკითხებთან მიმართებაში.

მოხსენებაში ვეხებით ამ სასულიერო და საერო პირთა პოზიციებს ქართული გალობისადმი, მათი ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს და საერთო სულისკვეთებას დიდ ეროვნულ საქმეში.

გვანცა მაისურაძე, ანი თანდილაშვილი

გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი,

საბაკალავრო პროგრამა *ქართული ტრადიციული მუსიკა*.

საშობაო რიტუალები და ალილოს ტრადიცია საქართველოში

საქართველო მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი კულტურის მქონე ქვეყანაა. უძველესი დროიდან დღემდე ტარდება და აღინიშნება სხვადასხვა რიტუალი და დღესასწაული. მათ შორის ჩვენი ყურადღება მიიქცია ქრისტიანობის დღესასწაულმა, რომელიც გამორჩეული იყო ქართველი ხალხისთვის. ეს ტრადიცია დღემდე არ კარგავს აქტუალობას. მისი მთავარი ნაწილია „ალილო“ – საწესო სიმღერა, რომელიც თითქმის მთელ საქართველოშია გავრცელებული და სხვადასხვა კუთხეში თავისებურად მღერიან.

შობის დღესასწაულს ქართველები განსაკუთრებულად აღნიშნავენ. მზადების პროცესი მრავალფეროვანი და სხვადასხვა წეს-ჩვეულებით დატვირთული იყო. სამზადისისას შესრულებული ყოველი რიტუალი სიხარულით სავსე მომავალს, ნაყოფიერებისა და ჯანმრთელობის სურვილს უკავშირდებოდა. სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულ კერძებს

ამზადდებდნენ. საშობაო სუფრის მთავარი ხიბლი ის სიყვარული და სადღესასწაულო განწყობაა, რომელიც კერძების კეთებას მოაქვს. ეს ყველაფერი ადამიანის სხეულსა და გონებაზე დადებითად მოქმედებს, პროცესი კი, რომელიც ამ დროს მიმდინარეობს, ჩვენში ერთიანობის განცდას ბადებს.

თემის განხილვისას ვცდილობთ, ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს: როდიდან ჩნდება ალილოს ტრადიცია ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წყაროებში? რა თავისებურებები ახასიათებდა სხვადასხვა კუთხის საშობაო რიტუალებს? რა ევალეზოდა ქალს-მამაკაცს? რა დატვირთვა ჰქონდა ამ ტრადიციას ქართველი ხალხის ცხოვრებაში? მოხსენების წარმოდგენისას გიჩვენებთ ვიდეომასალას, ხოლო ერთი სიმღერის ნიმუშს ცოცხალი შესრულებით შემოგთავაზებთ.

კვლევა ეფუძნება ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას იმ პირებისგან, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ საშობაო რიტუალებში. ჩვენს ინფორმირებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ჩვენი უნივერსიტეტის ლექტორებს.

მონაზონი ნინო (სამხარაძე)

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია,
სადოქტორო პროგრამა *მუსიკოლოგიური კვლევები*, სპეციალობა *საეკლესიო მუსიკა*.
ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი თამარ ჩხეიძე.

წმიდა ნინოს საგალობლები ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში

2025 წელს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1700 წლის იუბილეს აღნიშნავს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიის გამოცხადებიდან. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი პირდაპირ არის დაკავშირებული ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთასწორი წმიდა ნინო სახელთან, რომელმაც ღვთის განგებით სარწმუნოების ნათელი მოჰფინა მთელ ქვეყანას. სწორედ ამ იუბილემ განსაზღვრა ჩვენი ინტერესი ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში წმიდა ნინოს საგალობლების კვლევისადმი. მრავალი მეცნიერის მიერ (ე. თაყაიშვილი, პ. ინგოროყვა, ნ. მარი, რ. სირაძე, მ. ჩხარტიშვილი, ლ. პატარიძე, დ. ღლონტი, თ. მგალობლიშვილი, ნ. ნიკოლოზიშვილი, ივ. ლოლაშვილი) წმიდა ნინოს

ჰიმნოგრაფიის საფუძვლიანი შესწავლის მიუხედავად, წმიდანის საგალობელთა მუსიკალურ ასპექტებზე სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება არ გამახვილებულა. აღნიშნულმა ფაქტმა დასახა ჩვენი მოხსენების მიზანი: შევკრიბოთ, აღვწეროთ და საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს შევუდაროთ ჩვენამდე მოღწეული, სანოტო ხელნაწერებში არსებული წმინდანინოს საგალობელთა ნიმუშები.

ანთოლოგიური გამოცემები, რომლებიც წმიდა ნინოს საგალობელთა სიტყვიერ ტექსტებს შეიცავს, საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ, რომელი საუკუნიდან და ვის მიერ შეიქმნა წმიდა მოციქულთასწორისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული თხზულებები. ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულია Sin. 59-ში (IX ს-ის სინას მთის ქართული ხელნაწერი) შეტანილი, უცნობი ავტორის წმიდა ნინოს კანონი, რომელსაც მიაკვლია და გამოაქვეყნა ნ. მარმა. გამოყოფენ მოციქულთასწორის ჰიმნების რამდენიმე რედაქციას. მათი ავტორების უმრავლესობა უცნობია, ზოგი კი – ცნობილი (არსენ ბულმაისიმისძე, ნიკოლოზ თბილელი (ორბელიანი), ბესარიონ კათალიკოსი (ორბელიშვილი), ექვთიმე მჭედელაშვილი (ნინოწმიდელი).

სანოტო ხელნაწერებში ძირითადად ტროპარისა და კონდაკის მრავალფეროვანი ვერსიებია წარმოდგენილი. გვხვდება როგორც სადა, ისე გამშვენებული სტილის ნიმუშები გელათის, შემოქმედისა და სვეტიცხოვლის სამგალობლო სკოლებიდან.

მრავლად შემორჩენილი საგალობელთა ტექსტები და ჰანგები ადასტურებს წმიდა ნინოსადმი ქართველი ერის განსაკუთრებულ სიყვარულს და ქართული სამგალობლო ტრადიციის მრავალსაუკუნოვან ისტორიას. ეს საგალობლები ქართული საეკლესიო კულტურის ორიგინალური მუსიკალური ნიმუშებია.

თევდორე გოგოლაძე

ფსიქოლოგიის მაგისტრი.

უენო საღამურის დამზადების ტრადიცია და საშემსრულებლო თავისებურებები

აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ტრადიციული უენო საღამური, რომელზე შემსრულებელიც დღეს თითებზე ჩამოსათვლელია და სცენიდან თითქმის

მთლიანად არის გამჭრალი, სხვადასხვა მეცნიერის განხილვის საგანი ყოფილა. დიმიტრი არაყიშვილმა, ივანე ჯავახიშვილმა, გრიგოლ ჩხიკვაძემ, კახი როსებაშვილმა, მანანა შილაკაძემ შეკრიბეს და გამოიკვლიეს უენო სალამურთან დაკავშირებულ მასალები, წარმოაჩინეს საკრავის ტრადიციული, მკაცრად დადგენილი ზომები: ზედა ნაწილი – 1 ციდა, შუა ნაწილი – ასევე 1 ციდა (თანაბრად განთავსებული 6 თვლით. მე-7 თვალი შესაძლოა იყოს ქვემოდან პირველსა და მეორე თვლებს შორის) და ბოლო – 4 თითის დადება. მასალად ძირითადად იყენებდნენ დიდგულას, ასევე – ჭერამსა და ლერწამს. არსებობს ძვლის და თოფის ლულისგან დამზადებული უენო სალამურებიც. ამ ცნობებს ავსებს კახი როსებაშვილის საექსპედიციო აუდიომასალები – აბრამ სიდონაშვილის, შალვა მირიანაშვილისა და იოსებ მანგოშვილის თხრობა უენო სალამურის დამზადების შესახებ.

უენო სალამურის ბგერათრიგი დამოკიდებულია როგორც საკრავის ზომებზე (საკრავის სიგრძე, შიდა ღრმულის დიამეტრი, თვლების სიგრძე და დაშორებები ჩასაბერი თავიდან), ასევე შესრულების მეთოდზე (ჰაერის ნაკადის სიმძლავრე, სიჩქარე, გადახრის კუთხე, ტუჩის ღიაობა). იმის გამო, რომ ყველა შემსრულებელს განსხვავებული ხელის ზომები ჰქონდა და ჩაბერვის ტექნიკაც გემოვნებაზე იყო დამოკიდებული, ყველა სალამური ინდივიდუალური ბგერათრიგით გამოირჩეოდა. მათი დადგენა დღეს შესაძლებელია როგორც მეტწილად დაუზიანებლად შენარჩუნებული საარქივო ჩანაწერებით (დაზიანებული ჩანაწერიდან მხოლოდ ჰანგის დადგენა ხერხდება), ასევე ფიზიკურად შენარჩუნებულ საკრავზე დაკვრით.

მწყემსური დასაკრავების გარდა, უენო სალამურზე შემორჩენილია სხვა ჟანრების ნიმუშებიც – საცეკვაო, საჭიდაო, სასიმღერო, გლოვის, მაყრული. ისინი სრულდება სოლოდ ან ფანდურთან დუეტში.

უენო სალამურის მელოდიებს უკრავდნენ როგორც დაბალ, ისე გადაბერვით მაღალ რეგისტრში, რომელსაც მულტიფონიკით (ერთგვარი ობერტონული ორხმიანობით) ამკობდნენ. ხშირად იყენებდნენ ცირკულარული სუნთქვის ტექნიკას. დღესდღეობით ეთნოფორი ზაურ თეთრაშვილი მულტიფონიკას დაბალ რეგისტრში იყენებს.

თითქმის მივიწყებული უენო სალამური ბოლო ხანს ახალგაზრდებში მზარდ ინტერესს იწვევს როგორც კვლევის, ისე საშემსრულებლო მიზნით.

ანსამბლი „სანავარდო“ და იმერული სიმღერების ზოგადი მიმოხილვა

ჩემს მოხსენებაში განხილულია ანსამბლ „სანავარდოსა“ და მის მოღვაწეობასთან, ასევე, საზოგადოდ, იმერულ ფოლკლორთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- I. ანსამბლი „სანავარდო“ – ზოგადი მიმოხილვა
 - ანსამბლის ჩამოყალიბება, წევრები და ხელმძღვანელი;
 - ძველებური ქვემოიმერული სიმღერების აღდგენა და ყოფაში დაბრუნება;
 - განსაკუთრებული ღვაწლი ქართული ფოლკლორის წინაშე.
- II. ანსამბლის საერთაშორისო აღიარება და ჩანაწერები
 - მონაწილეობა სხვადასხვა ფესტივალსა და სიმპოზიუმში;
 - 40-მდე აუდიოჩანაწერი და მათი ჟანრობრივი მრავალფეროვნება;
 - კიოლნის რადიოსა და იაპონური დელეგაციის ჩაწერები.
- III. იმერული ფოლკლორის თავისებურებები
 - მრავალხმიანობის ფორმები;
 - თემატურად მდიდარი რეპერტუარი;
 - საკრავები;
 - მუსიკალური ენის კავშირები მეზობელ კუთხეებთან.

შატო კუბათაშვილი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია,

სამაგისტრო პროგრამა *მუსიკოლოგია*, სპეციალობა *ეთნომუსიკოლოგია*.

ხელმძღვანელი: პროფ. ნატალია ზუმბაძე.

საგაზაფხულო და სააღდგომო საწესო სიმღერები – „ჭონა“ და „მზიარული გაზაფხული“ ქართლურ მუსიკალურ ფოლკლორში

ცნობილია, რომ ქართულ მუსიკალურ დიალექტებს შორის ერთ-ერთ ნაკლებად შესწავლილ დიალექტს ქართლური წარმოადგენს. ჩემი მოხსენების კვლევის ობიექტები

სწორედ ამ კუთხის, საგაზაფხულო და აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებული საწესო სიმღერებია. ერთი მათგანი („ჰონა“) ქართლში მრავლად არის ჩაწერილი, მეორის („მხიარული გაზაფხულის“) მუსიკალური მხარე კი ჩვენთვის უცნობია – მის შესახებ მხოლოდ არამუსიკალური ინფორმაცია (რიტუალის დახასიათება და ვერბალური ტექსტი) არსებობს.

მოხსენებაში „ჰონა“ განხილულია იმ რიტუალთან კავშირში, რომელსაც ყოფაში ახლავს. მუსიკალურ მასალად ძირითადად გამოყენებულია ცნობილი ეთნომუსიკოლოგების – თამარ მამალაძის, კახი როსებაშვილის, ივეტ გრიმოსა და გრიგოლ ჩხიკვაძის საექსპედიციო აუდიოჩანაწერები, რომლებიც განეკუთვნება XX საუკუნის 50-იან და 60-იან წლებს. აღნიშნული ნიმუშების სიტყვიერი და მუსიკალური ტექსტები მოხსენებაში განხილულია კვლევის შედარებითი მეთოდით.

საინტერესოა, რომ ძველად ქართლში „ჰონას“ წინამორბედი სიმღერაც არსებობდა, რომელიც ხალხში „მხიარული გაზაფხულის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. „ჰონას“ სხვადასხვა ვარიანტის ვერბალური ტექსტების შედარება „მხიარული გაზაფხულის“ ტექსტთან ამ ორ საწესო სიმღერას შორის კავშირის – მათი მსგავსებისა თუ განსხვავების გამოვლენის საშუალებას გვაძლევს.

მარიამ გრიგალაშვილი

გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი,

სამაგისტრო პროგრამა *საეკლესიო მუსიკოლოგია*.

ხელმძღვანელი: მოწვ. პედაგოგი ეკატერინე ონიანი.

„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა“ – საგალობლის ლიტურგიკული ფუნქცია და აღნაგობის თავისებურება

როგორც ცნობილია, ქრისტიანული ჰიმნოგრაფია სათავეს იღებს ფსალმუნებიდან, ჰიმნოგრაფიული ელემენტი ჩნდება დაახლოებით V-VI საუკუნეებიდან. იქმნება ახალი ქრისტიანული ჰიმნები სხვადასხვა საეკლესიო მოღვაწეთა ავტორობით. ამავდროულად, ფსალმუნური წარმომავლობის საგალობლების გარდა, ღვთისმსახურებაში გვხვდება ჰიმნები,

რომელთა ტექსტებიც შექმნილია არა საეკლესიო მამების მიერ, არამედ უცვლელად არის გადმოსული უშუალოდ სახარებიდან:

1. „აწ განუტევე“ – ლუკა (2. 29-32)
2. „დიდება მაღალთა შინა“ – ლუკა (2. 14)
3. „ადიდებს სული ჩემი“ – ლუკა (1. 46-55)
4. 9 ნეტარება – მათე (5. 3-11)
5. „მამაო ჩვენო“ – მათე (6. 9-13)

როგორც ვხედავთ, ჰიმნები სახარებისეული ტექსტებით არც ისე მრავალრიცხოვანია, მაგრამ განფენილია ღვთისმსახურების ყველა ეტაპზე (მწუხრი, ცისკარი, წირვა) და მოთავსებულია განსაკუთრებული ლიტურგიკული დატვირთვის მქონე მონაკვეთებში. მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, სახარებისეული ტექსტები მოიცავს სამივე მსახურებას: „აწ განუტევე“ – მწუხრის განტევების ლოცვა, „დიდება მაღალთა შინა“ – ცისკრის დასაწყისი, „ადიდებს სული ჩემი“ – საცისკრო კანონის დასასრული, 9 ნეტარება – წირვის მესამე აღსავლის ჩასართავი, „მამაო ჩვენო“ – საუფლო ლოცვა წირვის დასასრულს. ეს საგალობლები უკავშირდება საღმრთო ისტორიის განსაკუთრებულ მონაკვეთებს: მწუხრსა და ცისკარში ჩართული ჰიმნები მაცხოვრის შობასთან არის დაკავშირებული, წირვაში მოცემული საგალობლები – მაცხოვრის ქადაგებასთან.

ჩემი მოხსენების თემაა ცისკრის საგალობელი „დიდება მაღალთა შინა“, რომლითაც ანგელოზებმა მწყემსებს აუწყეს უფლის შობა და პირველად უგალობეს მაცხოვარს. ეს ჰიმნი, ფაქტობრივად, პირველი ქრისტიანული საგალობელია. „დიდება მაღალთა შინა“ გვხვდება ცისკრის დასაწყისში და მისი ლიტურგიკული ფუნქცია დაკავშირებულია მაცხოვრის შობის გაცხადებასთან. ამასთანავე, აღნიშნული ტექსტი წარმოადგენს „დიდება მაღალიანის“ პირველ სტროფს, რომლითაც სრულდება ცისკარი და რომელიც ერთიანი თაღის ქვეშ აქცევს ცისკრის მსახურებას. ეს ხაზი გრძელდება წირვის დასაწყისშიც, როდესაც მღვდელმსახური სხვა ლოცვებთან ერთად წარმოთქვამს ამ სიტყვებს.

მოხსენებაში განხილულია საგალობელ „დიდება მაღალთა შინას“ სტრუქტურა და მისი ვერბალური და მუსიკალური ტექსტების ურთიერთმიმართების თავისებურებები როგორც გელათის, ასევე „კარბელაანთ კილოს“ ნიმუშებში.

ლიკა ლიპარტელიანი

ლოტბარ-რეგენტი.

გლოვის სვანური წესი

გლოვის სვანური წესი ისეთივე მისტიკური და მრავალფეროვანია, როგორიც საქართველოს დანარჩენი კუთხეებისა. ამ თემასთან დაკავშირებული ფოლკლორული მასალა იმდენად დიდია, რამდენ ადამიანსაც უცხოვრია, რადგან დადგენილ საერთო წეს-ჩვეულებებს მიღმა ნებისმიერი მოვლენისადმი (მათ შორის, დაბადებისა და სიკვდილისადმი) დამოკიდებულება, აღქმა და გამოხატვის ფორმა ინდივიდუალურიც არის. ალბათ სწორედ ამან განაპირობა ფოლკლორის მრავალფეროვნებაც და, შეიძლება ითქვას, ამოუწურაობაც ნებისმიერ დარგში.

სვანურ ტირილებსა და ნანებს შორის ისეთივე მცირე ზღვარია, როგორიც – მწუხარებიდან სიხარულამდე. ხშირად მელოდიური მსგავსება იმდენად დიდია, რომ მათი გარჩევა მხოლოდ სიტყვებისა და განწყობის მიხედვით არის შესაძლებელი. ამისი ნათელი მაგალითია სვანეთში სხვადასხვა დროს ჩაწერილი ნიმუშები და დღემდე ყოფაში არსებული რეალობა.

2020 წლის აგვისტოში ვიყავი ექსპედიციაში ქვემო და ზემო სვანეთში. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ნაფიქრალს უშგულში რამდენიმე ქალბატონისგან მასალის ჩაწერის შემდეგ. მათთან ურთიერთობამ მოამწიფა ჩემ მიერ ყოფაში განცდილისა და სხვისგან გაგონილის შეჯერება, ანალიზი.

მოხსენებაში განხილულია: „მგლოვიარე ქალის ნანილა“ (რომელიც ერთდროულად არის ნიმუში ნანასა და ტირილს შორის არსებული ზღვრის არსებობისა და ამ ზღვრის გადაკვეთისა), მიცვალებულთან ჭუნირზე დამღერების ტრადიცია და საგმირო-ეპიკური ჟანრის რამდენიმე სიმღერის მსგავსება ნატირალთან.

პროგრამისა და თეზისების შემდგენელ-რედაქტორი: პროფ. ნატალია ზუმბაძე.